ხარისხის ნიშნები

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ზრდა. ამ მხრივ, სხვა ღონისძიებებთან ერთად, საქართველოს მთავრობა მხარს უჭერს აგრარული პროდუქტების ხარისხის სქემების პოლიტიკასთან დაკავშირებული საუკეთესო პრაქტიკისკენ მიმართულ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მომხმარებელთა ინტერესების დაცვას და ბიზნესოპერატორებისათვის კეთილსინდისიერ კონკურენციის პირობებს. გარდა ამისა, ხარისხის ნიშნის მქონე პროდუქცია განსაკუთრებული მაღალი მოთხოვნით სარგებლობს ბაზარზე, რამდენადაც ხარისხის ნიშანი პროდუქტს მეტ დაცულობას ანიჭებს, ზრდის მის ცნობადობას, უზრუნველყოფს პროდუქციის ხარისხობრივი მახასიათებლების ერთგვაროვნებას. ყოველივე ეს კი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის რეგიონალურ განვითარებაში.

სწორედ ამ მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N2-24 ბრძანებით, შეიქმნა მარკეტინგული საბჭო, რომლის საქმიანობის ძირითად მიზანს, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, ქვეყანაში სურსათის ხარისხის სქემების, მათ შორის გეოგრაფიული აღნიშვნების სქემების განვითარება, ბიოპროდუქტის, ტრადიციული და ადგილწარმოშობის დასახელების პროდუქტის ბრენდინგის, ასევე მარკეტინგის საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა და მათი დაცვის სამართლებრივი და ინსტიტუციონალური მექანიზმების სრულყოფა წარმოადგენს.

მარკეტინგული საბჭოს შემადგენლობაში გაერთიანდენ სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და სხვა შესაბამისი უწყებების წარმომადგენლები.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 26 თებერვლის N2-106 ბრძანებით დამტკიცდა "ხარისხის ნიშნის გამოყენების უფლების მინიჭების წესი". „**ხარისხის ნიშანი**" ეს არის აღნიშვნა, რომელიც უკავშირდება ერთი ან მეტი კატეგორიის სურსათის სპეციფიკურ მახასიათებლებს ან სპეციფიკურ არეალში გამოყენებულ წარმოება/დამუშავების კონკრეტულ მეთოდ(ებ)ს, ასეთი აღნიშვნის გამოყენება სურსათს, მსგავსი კატეგორიის სხვა სურსათთან შედარებით, განსაკუთრებულ უპირატესობას ანიჭებს.

ამ წესის მიხედვით განისაზღვრა სურსათთან დაკავშირებული შემდეგი ხარისხის ნიშნები - **„დაცული გეოგრაფიული აღნიშვნა", „დაცული ადგილაწარმოშობის დასახელება", "მთის პროდუქტი", „ბალახით ნაკვები", „„ხელით დამზადებული", „ტრადიციული პროდუქტი", „ქართული ხარისხი", „ტყეში ნასუქი", „ბიოპროდუქტი", „ბიოწარმოებაზე გარდამავალი", „პირდაპირი დაწურვის წვენი".** ასევე განსაზღვრულია ლოგოტიპები და მათი გამოყენების უფლების მინიჭების

პროცედურები. ბიზნესოპერატორს შეუძლია აირჩიოს მისთვის სასურველი ხარისხის ნიშანი.

ხარისხის ნიშნის გამოყენებაზე უფლების მინიჭების და მისი ეტიკეტზე განთავსების პროცედურა **ნებაყოფლობითია** და ხორციელდება ბიზნესოპერატორის (მწარმოებლის/დისტრიბუტორის, ექსპორტიორის) ინიციატივით. თუმცა, ეს ნიშნები სახელმწიფო საკუთრებაა და მათი გამოყენების უფლება მხოლოდ შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ არის შესაძლებელი.

ხარისხის ნიშანი ენიჭება იმ პროდუქტს, რომელიც სრულად აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით და ხარისხის ნიშნის გამოყენების უფლების მინიჭების წესით დადგენილ მოთხოვნებს.

რა არის საჭირო სურსათთან დაკავშირებული „ხარისხის ნიშნის“ მოსაპოვებლად?

- დაინტერესებულმა პირმა განცხადებით უნდა მიმართოს სსიპ - სურსათის ეროვნულ სააგენტოს;
- დოკუმენტური მასალების შემოწმებისა და საჭიროების შემთხვევაში ადგილზე ინსპექტირების შემდეგ, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო ანგარიშს წარუდგენს მარკეტინგულ საბჭოს;
- მარკეტინგული საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო გასცემს დასკვნას “ხარისხის ნიშნის გამოყენების უფლების მინიჭების შესახებ“.

ხარისხის ნიშნის მიხედვით ნიშანდებული სურსათის სახელმწიფოს მხარდაჭერით განსაზღვრული უპირატესობები :

- სურსათის ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე პოპულარიზაცია და საერთაშორისო და ადგილობრივ გამოფენებში/ფესტივალებში/აგრო ბაზრობებზე სურსათის წარდგენის ხელშეწყობა;
- ცნობადობის ამაღლების ხელშეწყობა;
- სურსათის უვნებლობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საჭირო პროცედურების გამარტივების ხელშეწყობა;
- აგროსასურსათო ბაზრებში სურსათის პრივილეგირებულ სივრცეში განთავსების ხელშეწყობა;
- აგროტურისტულ ობიექტებში სურსათის პოპულარიზაცია;
- პროდუქტის დაცვის სამართლებრივი და ინსტიტუციონალური მექანიზმების სრულყოფა;

- პროდუქტის ბრენდინგის, მარკეტინგის საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა.

მოსალოდნელი შედეგები:

- დამატებითი ღირებულების შემქმნელი სრული ციკლის წარმოების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში სურსათთან დაკავშირებული ხარისხის სქემების განვითარება;
- შინამეურნეობათა შემოსავლის ზრდა და სოფლის გაძლიერება;
- ქვეყნის პოპულარიზაცია;
- ექსპორტის ზრდა;
- აგროტურიზმის განვითარება;
- დამატებითი შემოსავლები ეკონომიკაში.

ხარისხის ნიშნები

დაცული გეოგრაფიული აღნიშვნა

დაცული ადგილწარმოშობის დასახელება

მთის პროდუქტი

„ბალახით ნაკვები"

„ხელით დამზადებული"

„ტრადიციული პროდუქტი"

„ქართული ხარისხი"

„ტყეში ნასუქი"

„ბიოპროდუქტი"

„ბიოწარმოებაზე გარდამავალი"

„პირდაპირი დაწურვის წვენი"

ელ-ფოსტა: nato.modebadze@mepa.gov.ge ; maia.ghavtadze@mepa.gov.ge. ტელ: 2378048